



პრესრელიზი

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, 12-19 მაისს საქართველოში ღვთისმშობლის თაყვანისცემის კვირეული აღინიშნება.

მოციქული ანდრია პირველწოდებულის ღვთისმშობელს 12 მაისს, 16 საათზე ვარდების მოედიდან თბილისის ქუჩებში ხატებით მსვლელობა მოეწეობა.

13 მაისს 12 საათზე სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“ საზეიმოდ გაიხსნება მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი. მასში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს მსოფლიოს 14 ქვეყნიდან ეწვევიან ღვთისმსახურნი და მეცნიერები. კვირის განმავლობაში ჩამოსული სტუმრები ღვთისმშობელთან დაკავშირებულ წმინდა ადგილებსა და სიწმინდეებს მოილოცავენ ქვეყნის რეგიონებში.

სიმპოზიუმის ორგანიზატორია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომლის გამგეობის თავმჯდომარეა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. **ცენტრი 2002 წელს დაარსდა** და მიზნად ისახავს ალადგინოს ჰარმონიული კავშირი სარწმუნოებასა და მეცნიერებას შორის.

წლევიანდელი მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის მთავრი თემაა „ღვთისმშობლის თაყვანისცემის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“ (ისტორია, კულტურა, ღვთისმეტყველება). მიუხედავად იმისა, რომ სიმპოზიუმი მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციით შემოიფარგლა, მასში მონაწილეობის სურვილი, გარდა მართლმადიდებლებისა, გამოთქვეს კათოლიკე და პროტესტანტმა მეცნიერებმა და ასევე მეცნიერებმა ისრაელიდან. ისინი საქართველოს 12 მაისს ეწვევიან. სიმპოზიუმში მონაწილეობას მიიღებენ: მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელი, ავიდოსის ეპისკოპოსი, ყოვლადუსამღვდელოესი კირილე კატერელოსი, სტეფან შუმახერი (აშშ), ჯონ ზელიგმანი (ისრაელი), დეკანოზი დიმიტრი კალაჩევი (გერმანია), ბერი პატაპიოს კავსოკალიველი (საბერძნეთი, წმ. ათონის მთა), ალესანდრო მარია ბრუნი (იტალია) და სხვა. შეხვედრები ძირითადად სამი მიმართულებით წარიმართება: ღვთისმეტყველება, ისტორია, კულტურა და 4 ენაზე იქნება თარგმნილი.

ამერიკიდან ჩამობრძანებული იქნება ივერიის ღვთისმშობლის მრონმდინარე ხატი, რომელსაც **13 მაისს** ააბრძანებენ მახათას მთაზე მშენებარე ტაძარში. **13 მაისს, დღის 9 საათზე, მახათას მთაზე, ტაძარში**, რომელსაც მთელი საქართველო თანაბარი მონაწილეობითა და თითო ლარის შემოწირულობით აშენებს პირველად ადევლინება წირვა. **11 საათზე** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ღვთისმშობლის პარაკლისს გადაიხდის. პარაკლისის დასრულების შემდეგ, მახათას მთაზე ამოსულ ყოველ ადამიანს მიეცემა სიწმინდეების მოლოცვის შესაძლებლობა.

კვირეულის პროგრამა:

- **12 მაისი** – წმ. ანდრია პირველწოდებულის დღესასწაულზე, 16 საათზე ხატებით მსვლელობა მოეწეობა ვარდების მოედნიდან წმინდა სამების საკათედრო ტაძრამდე. საქართველოს საგანძურის დათვლიერება ხელოვნების სახელწმიფო მუზეუმში, ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერებთან შეხვედრა.
- **13 მაისი** – **11საათზე** მახათას მთაზე პარაკლისი და **12 საათზე** სიმპოზიუმის გახსნა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“
- **14-15 მაისი** – მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში (გონიო, ზუგდიდი, გელათი)
- **16 მაისი** – სიმპოზიუმის დახურვა
- **17 მაისი** – მოგზაურობა: კახეთში (აღავერდის მამათა და ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერების მოლოცვა), აწყურსა და ვარძიაში.
- **18 მაისი** – წირვა წმინდა სამების საკათედრო ტაძარში.
- **19 მაისი** – მონაწილეთა გამგზავრება

კვირეულის მთავარი იდეა:

- 1) საკაცობრიო ფასეულობების როლი ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებაში;
- 2) საკაცობრიო სულიერი საგანძურის გამდიდრება უნიკალური, ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობით.

სიმპოზიუმის სათაური – „ღვთისმშობლის თაყვანისცემის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“ – გულისხმობს ღვთისმშობლის ფენომენს, როგორც საკაცობრიო მნიშვნელობის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას. ღვთისმშობელი არა მარტო გვიქადაგებს ურთიერთსიყვარულს, მშვიდობიან თანაარსებობას, არამედ თავად არის სრულყოფილი ნიმუში ამ სათნოებებისა. მისი თაყვანისცემის ისტორია წარმოადგენს საკაცობრიო ღირებულებათა – სიყვარულის, თანაგრძნობის, შემწყნარებლობის – გამოვლინებას სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში, რაც გვევლინება ქრისტიანობის ქვაკუთხედად და დაედო საფუძვლად ევროპულ ცივილიზაციას.

საუკუნეების მანძილზე მრავალრიცხოვანი მტრის გარემოცვაში მყოფი საქართველო გადარჩა და მისი გადარჩენა მიწიერ ლოგიკას აღემატება. ეს შეიძლება მხოლოდ ღვთის სასწაულით აიხსნას და ეს სასწაული ღმერთმა ღვთისმშობლის მეოხებით აღასრულა.

ღვთისმშობლის ფენომენს უდიდესი ადგილი უკავია საქართველოს ცხოვრებაში. იგი ჩვენი ეროვნული იდენტობის საძირკველს წარმოადგენს.

ქართველი ერი მუდამ ღირსეულ თაყვანისცემას გამოხატავდა თავისი მფარველისადმი. ღვთისმშობლის თაყვანისცემა გულისხმობდა არა მარტო მადლიერებას ზეციური

დედოფლისაგან მიღებული წყალობისათვის, არამედ ასევე სათნოებათა სიმაღლესა და სიმტკიცეს.

სამწუხაროდ გასულ საუკუნეში გაბატონებულმა ღვთისმგმობელმა ძალამ განადგურების პირამდე მიიყვანა ჩვენს ხალხში ღვთისა და ღვთისმშობლის მიმართ არსებული თაყვანისცემის ტრადიცია და კულტურა.

ღვთისმშობლის კვირეული არის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გავიაზროთ, თუ რას გვავალებს ღვთისმშობლის მფარველობა. ღვთისმშობლის წილხედომილობა არ ნიშნავს უზრუნველ და დაღვინებულ ცხოვრებას. ერი, რომელსაც არა აქვს გაცნობიერებული საკუთარი პასუხისმგებლობა ღვთისა და მამულის წინაშე ვერ შესძლებს წინსვლასა და განვითარებას მშვიდობისა და მთლიანობის გზაზე.